USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

THE USAID ECONOMIC SECURITY PROGRAM

სექტორების და ღირებულებათა ჯაჭვების ანალიტიკა

მეორე დიაგნოსტიკური ანგარიში

PMC Research

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

ივნისი 2021

შეჯამება

კვარტალური ანგარიში მოიცავს ექვსი სექტორის წინასწარ შერჩეულ ღირებულებათა ჯაჭვში ეკონომიკურ ტენდენციებს, არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების მიმოხილვას (ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე). ანგარიშის მიზანია, გაუმჯობესოს მონაცემთა ანალიზსა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი.ანგარიშში გაანალიზებულია შემდეგი სექტორები: ტურიზმი, შემოქმედებითი ინდუსტრიები, მსუბუქი მრეწველობა, გაზიარებული ინტელექტუალური სერვისები, ნარჩენების მართვა და გადამუშავება და გამჭოლი (cross-cutting) სექტორები. ანგარიშში შეჯამებულია 2016 წლიდან 2020 წლის მეოთხე კვარტლის ჩათვლით არსებული ტენდენციები.

ქვევით მოცემულია აღნიშნულ სექტორებში მიგნებების მოკლე მიმოხილვა:

ტურიზმი (განთავსება, სარესტორნო მომსახურება, სათავგადასავლო ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი და კულტურული ტურიზმი): 2020 წელს COVID-19 პანდემიამ სერიოზულად დააზარალა ტურიზმის სექტორი. სექტორის სრულ აღდგენას, საუკეთესო შემთხვევაში, ელიან 2022 წლის დასასრულისთვის. საქართველო, როგორც ტურიზმზე ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამოკიდებული ქვეყანა, სექტორის ვარდნამ კიდევ უფრო მეტად დააზარალა. 2020 წლის აპრილიდან საერთაშორისო ვიზიტორთა ყოველთვიური მაჩვენებელი 90%-ზე მეტით შემცირდა 2019 მაჩვენებელთან შედარებით. არც შიდა ტურიზმის მოლოდინებმა გაამართლა - 2020 წელს წინა წელთან შედარებით ქვეყნის შიგნით ვიზიტების რაოდენობა 12.5%-ით შემცირდა. მსგავსი სტატისტიკაა მოსალოდნელი 2021 წელსაც, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ქვეყნის შიდა ტურისტები მოგზაურობისას ხშირ შემთხვევაში თავიანთ ან მეგობრების/ნათესავების სახლში რჩებიან.

დაინტერესებულმა მხარეებმა ინტერვიუს დროს ყურადღება გაამახვილეს ტურიზმის სექტორის სწრაფ აღდგენასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. აღსანიშნავია, რომ არსებულ გამოწვევებსა და დაბრკოლებებს შორის ღირებულებათა ჯაჭვებს რამდენიმე საერთო გამოწვევა აქვთ. რესპონდენტების ძირითადი ნაწილის აზრით, სახმელეთო საზღვრების გახსნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურიზმის სექტორის სწრაფ აღდგენას (რასაც ამყარებს ის ფაქტიც, რომ 2015-2019 წლებში ვიზიტორების 80% სწორედ სახმელეთო გზით შემოვიდა ქვეყანაში). თუმცა, დაინტერესებულმა მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ მნიშვნელოვანია მკაცრი პროტოკოლის შესასრულებლად კონტროლის მექანიზმების არსებობა. საქართველოს მთავრობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებას და საჯარო-კერძო დიალოგში სექტორული ასოციაციების როლის გაზრდის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება სამი პრიორიტეტული ღირებულებათა ჯაჭვების წამომადგენლებმა. საჯარო და ტურიზმის სექტორს შორის არასათანადო კომუნიკაცია კიდევ უფრო აფერხებს დარგის კრიზისული მდგომარეობიდან სწრაფად გამოსვლის შანსებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სექტორის ასოციაციებმა რამდენიმე პოზიტიური ნაბიჯიც გადადგეს ამ კუთხით ბოლო პერიოდში - შეიქმნა საქართველოს ტურიზმის ალიანსი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ინიცირება პანდემიის პერიოდში.

რესპონდენტებმა გაამახვილეს ყურადღება დეტალური ანტი-კრიზისული გეგმის (კონკრეტული ინსტრუქციებითა და ციფრებით) მნიშვნელობასა და საჭიროებაზე. მათი აზრით, ამ ტიპის გეგმაში უფრო დეტალურად და გარკვევით უნდა იყოს გაწერილი, თუ

რას მოიმოქმედებენ შესაბამისი საჯარო უწყებები. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ COVID-19-ით ინფიცირებულთა დღიური რაოდენობა გადაცდება გარკვეულ ზღვარს. კერძო სექტორი მსგავსი პროტოკოლით უფრო დამაჯერებლად იმოქმედებს, ვიდრე მოულოდნელი გადაწყვეტილებების გამოცხადებისას. მეორე მხრივ, ასეთი გეგმით საჯარო უწყებები უკეთ შეძლებენ კერძო სექტორის მოლოდინების მართვას.

შემოქმედებითი ინდუსტრიები (მედია კონტენტის წარმოება, პოსტ წარმოება და არტიზანი):

მედია კონტენტის წარმოების, პოსტ-წარმოებისა და არტიზანის სექტორები ყველაზე მოწყვლადი აღმოჩნდა პანდემიის პერიოდში. პანდემიის დაწყებამდე აღნიშნულ სექტორებში ბრუნვის, დასაქმებისა და ინვესტიციების მიმართულებით შთამბეჭდავი ზრდა ფიქსირდებოდა. სხვა ღირებულებათა ჯაჭვებისგან განსხვავებით, მედია კონტენტის წარმოების ბრუნვა და პოსტ წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა 2020 წლის დასაწყისში: 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, 2020 წელს იგივე მონაცემი 38.8 მილიონი ლარიდან დაეცა 14.4 მილიონ ლარამდე (62,8% შემცირება).

ორივე ღირებულებათა ჯაჭვში დასაქმების მაჩვენებელი შედარებით სტაბილურია - 2020 წლის მეოთხე კვარტალში, 2019 წლის იმავე კვარტლის მონაცემთან შედარებით, არტიზანის ღირებულებათა ჯაჭვის მხოლოდ 30.7%-ს მოუწია პანდემიის დროს თანამშრომლების გათავისუფლება, მაშინ როცა მედია კონტენტის წარმოებასა და პოსტ წარმოებაში დასაქმებულთა 39% გაათავისუფლეს სამსახურიდან. აღსანიშნავია, რომ არტიზანის ღირებულებათა ჯაჭვში დასაქმებულთა 95%-ზე მეტი ქალია, მაშინ როცა საშუალოდ თითო კომპანიაში სულ 2-4 თანამშრომელია.

პანდემიამ განსაკუთრებით დააზარალა არტიზანის ღირებულებათა ჯაჭვი, რომელთა საშუალო შეწონილი ბრუნვა 34.2%-ით შემცირდა. ვარდნა უფრო მნიშვნელოვანი იყო -37,6% - მცირე კომპანიებისთვის, რომელთა წლიური ბრუნვა 0,1 მილიონ ლარზე ნაკლებია, მაშინ როცა შედარებით დიდ კომპანიებზე, რომელთა წლიური ბრუნვა დაახლოებით 0.1-0.5 მილიონი ლარი იყო, იგივე მაჩვენებელი 31.7% უდრიდა. როგორც სექტორის წარმომადგენლების ნაწილმა განაცხადა, 2020 წლის პირველ სამ კვარტალში მნიშვნელოვნად გაუარესდა მათი მდგომარეობა, მაშინ როცა, გამოკითხული ბიზნესების 7.7%-ის მიხედვით, იმავე პერიოდში მათი წლიური ბრუნვა 20-50%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში რამდენიმე კომპანიამ მოახერხა განვითარება, ზოგადი სურათი მაინც სავალალოა - 2020 წელს არტიზანის სექტორის წარმომადგენლების 38,5%-ის წლიური ბრუნვა 50%-ზე მეტით შემცირდა, ხოლო ზოგიერთმა კომპანიამ საერთოდ შეაჩერა საქმიანობა. საერთო ჯამში, არტიზანის ღირებულებათა ჯაჭვის კომპანიების 2/3-ზე მეტის ბრუნვა 20%-ზე მეტით შემცირდა.

2020 წელს მედია კონტენტის წარმოებისა და პოსტ წარმოების ღირებულებათა ჯაჭვებში დასაქმებულებს ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ანაზღაურება ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ წლიური ბრუნვა შემცირდა. რაც შეეხება არტიზანის ღირებულებათა ჯაჭვს, ამ კუთხით არსებული სიტუაცია სამ ტიპად შეიძლება დაიყოს: 1) რამდენიმე კომპანიამ ვერ შეძლო თანამშრომლებისთვის ხელფასების გადახდა, თუმცა საქმიანობას მაინც აგრძელებდნენ; 2) ზოგ კომპანიაში თანამშრომლები ნახევარ განაკვეთზე გადავიდნენ და შეკვეთების მიხედვით მუშაობდნენ; 3) ზოგმა კომპანიამ 2020 წლის პირველ სამ კვარტალში ხელფასები შეამცირა, თუმცა ბოლო კვარტალში ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

თანხის უკან დაბრუნების პროგრამასთან დაკავშირებული გაურკვევლობები კვლავ მთავარ საფრთხეს წარმოადგენს კინოწარმოების და პოსტ წარმოების ინდუსტრიებისთვის. როგორც დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ, დრო კრიტიკულია, როდესაც საქმე ეხება ინვესტორების ყურადღების შენარჩუნებას, ამიტომ თანხის უკან დაბრუნების პროგრამის შეჩერება არამარტო ინდუსტრიას შეაფერხებს, არამედ მას რამდენიმე წლით უკან დახევს და ამ სფეროში უცხოელი ინვესტორებისთვის ქვეყნის მიმზიდველობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. საქართველოს კონკურენტუნარიანობას კიდევ უფრო მეტ საფრთხე უქმნის რეგიონის ქვეყნების ბოლოდროინდელი პროგრესი. მაგალითად ბულგარეთი საერთაშორისო წარმოების მოსაზიდად 25% –იან თანხის უკან დაბრუნების პროგრამას ნერგავს. 2021 წლის 17 თებერვალს კინოწარმოებისთვის თანხის უკან დაბრუნების პროგრამის საკითხმა უკვე გაიარა მეორე საპარლამენტო მოსმენა.

მსუბუქი მრეწველობა (ავეჯი, შესაფუთი მასალები, სამშენებლო მასალები, პერსონალური და დამცავი აღჭურვილობა და ხის სათამაშოები): კვარტალური მონაცემების თანახმად, სექტორში ბრუნვა 2016 წლიდან იზრდებოდა, თუმცა COVID-19 პანდემიამ ამ სექტორშიც შესამჩნევი კვალი დატოვა. კომპანიების წლიური შემოსავლები ორივე ე.წ ,,ლოქდაუნის" დროს მნიშვნელოვნად შემცირდა, განსაკუთრებით კი პირველ ჯერზე, 2020 წლის მეორე კვარტალში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2020 წლის მეოთხე კვარტალში დაქირავებული თანამშრომლების ყველაზე ნაკლები რაოდენობა დაფიქსირდა შესაფუთი მასალების ღირებულებათა ჯაჭვში (3,011 დაქირავებული თანამშრომელი), ხოლო ყველაზე მეტი სამშენებლო მასალების ღირებულებათა ჯაჭვში (7 058 დაქირავებული თანამშრომელი). საშუალო თვიური ხელფასი 2020 წლის მეოთხე კვარტალში 865-დან 1533 ლარამდე მერყეობდა და ღირებულებათა ჯაჭვების მიხედვით, ყველაზე მაღალი ანაზღაურება სამშენებლო მასალების კომპანიებში დასაქმებულებს ჰქონდათ, ყველაზე დაბალი კი - ავეჯის ღირებულების ჯაჭვში მომუშავე პერსონალს.

ჩატარებული გამოკითხვამ აჩვენა, რომ 2020 წელს პერსონალური და დამცავი აღჭურვილობებისა (PPE) და ხის სათამაშოების მწარმოებელი კომპანიების დაახლოებით 50%-ის ბრუნვა, 2019 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა. პერსონალური და დამცავი აღჭურვილობების მწარმოებელი კომპანიებისთვის ეს მაჩვენებელი 20-50%-ით შემცირდა, მაშინ როცა ხის სათამაშოების ღირებულებათა ჯაჭვში კომპანიების ბრუნვა 50%-ზე მეტით შემცირდა. რაც შეეხება დასაქმებულებს, PPE-ის კომპანიების ნახევარზე მეტმა (55%) თანამშრომლების რაოდენობა შეინარჩუნა, მაშინ როცა ხის სათამაშოების მწარმოებლების 47%-მა დაქირავებული თანამშრომლების რაოდენობა შეამცირა.

მყარი ნარჩენების მართვა და გადამუშავება: მყარი ნარჩენების მართვა და გადამუშავება საქართველოსათვის შედარებით ახალი ეკონომიკური აქტივობაა. მიუხედავად ამისა, გარკვეული ტიპის ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკა ქვეყანაში უკვე დიდი ხანია არსებობს. ამჟამად, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სექტორი აერთიანებს ისეთ ბიზნეს აქტივობებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ნარჩენების გადამუშავებასთან, მათ შორისაა პლასტმასი, ქაღალდი/მუყაო, ხე, მეტალი, მინა, გამოყენებული საწვავი, ცვეთამედეგი საბურავები, მანქანები, ელექტრო და ელექტრონული აღჭურვილობა, ბატარეა, აკუმულატორები და სახიფათო ნარჩენები.

2020 წელს, აღნიშნული სექტორის წლიური ბრუნვა 60 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით 6.6%-ით ნაკლებია (64 მილიონი ლარი).

ამავდროულად, შესაბამისი აგრეგირებული სექტორის წლიური ბრუნვა უფრო მეტად, 13.2%-ით შემცირდა (2019 წელს 298 მილიონი ლარიდან 2020 წელს 259 მილიონ ლარამდე). სექტორის წლიური ბრუნვა 2020 წლის ოთხივე კვარტალში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა განსაკუთრებული ვარდნა დაფიქსირდა მესამე კვარტალში - 13.7%, ხოლო მეოთხე კვარტალში იგივე მაჩვენებელი 10,7%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ აგრეგირებული სექტორების წლიური ბრუნვა 2020 წლის პირველ კვარტალში ოდნავ გაიზარდა, თუმცა ამის შემდეგ, წლის ბოლომდე, სექტორის ბრუნვა შემცირდა 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ეს კლება განსაკუთრებით მაღალი იყო მეოთხე კვარტალში - 23.1%.

2018-2020 წლის პერიოდში მყარი ნარჩენების მართვის და გადამუშავების სექტორში და აგრეგირებულ სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობა ძალიან სტაბილურია. თუმცა ორივე სექტორში აღსანიშნავია მცირედი დადებითი ცვლილება 2020 წელს. ორივე ზემოხსენებული სექტორის საშუალო ანაზღაურება 2020 წელს თითქმის ერთნაირია. 2020 წლის პირველ კვარტალში, ნარჩენების მართვის სექტორში თვიური ანაზღაურება შესამჩნევად გაიზარდა, 14.2%. თუმცა, შემცირდა ამავე წლის მეორე კვარტალში. მესამე კვარტალში ხელფასების მხრივ გამოსწორდა სიტუაცია, მაგრამ მეოთხე კვარტალში კვლავ შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული ორი სექტორის საშუალო ხელფასები ერთნაირია, აგრეგირებულ სექტორში პროდუქტიულობა, რომელიც იზომება დაქირავებული თანამშრომლის შედეგიანობით, გაცილებით მაღალია.

გაზიარებული ინტელექტუალური მომსახურება (ფინანსები და ბუღალტერია, არქიტექტურა, დიზაინი და ინჟინერია, მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი და ადამიანური რესურსების მართვა): საქართველოში, ბიზნეს პროცესების აუთსორსინგის (BPO) ღირებულებათა ჯაჭვში არსებული ბიზნეს აქტივობები, მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის (CRM) გარდა, ფოკუსირებული არიან შიდა ბაზარზე და გლობალური გაფართოების პოტენციალი ნაკლებად აქვთ. თუმცა ეს ყველაფერი კვლავ ფორმირების პროცესშია, CRM-ის მიმართულებით სამუშაო ადგილებისა და ზოგადად, სექტორის ზრდა შეინიშნება. . საქართველოში მოქმედი CRM კომპანიები, როგორებიცაა - Majorel, CMX Solutions, Evolution Gaming და სხვა დიდი მოთამაშეები, ემსახურებიან ევროპისა და რეგიონულ ბაზრებს. აღსანიშნავია, რომ Majorel საქართველომ 2020 წელს 900-მდე ახალი სამუშაო ადგილი შექმნა. მიუხედავად ამისა, პოტენციურ ზომასთან შედარებით, CRM ბაზარი საქართველოში ჯერ კიდევ მცირეა.

BPO სექტორის ბიზნეს საქმიანობები ფართოვდებიან მხოლოდ ქვეყნის შიგნით, რაც რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. ADE და F&A-ს შემთხვევაში, საერთაშორისო ბაზრები ძალიან რეგულირებულია, და აქედან გამომდინარე, ქართულ კომპანიებს არ უღირთ ექსპორტში ჩართვა. რაც შეეხება HRM-ს, ინტერნაციონალიზაციისთვის საჭიროა უცხოური talent networks-ის სიღრმისეული ცოდნა, რაც დისტანციურად რთული მისაღწევია. უფრო მეტიც, ამ სამი მიმართულებით მოქმედი ბიზნესები შიდა მოთხოვნაზე არიან ორიენტირებულები. საქართველო აშკარად ფლობს კონკურენტულ უპირატესობას CRM ბიზნეს აქტივობების გაფართოების მხრივ, რაც განპირობებულია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, არსებული რეგულაციებით, სამუშაო ძალების ენობრივი უნარებით და შრომის შედარებით დაბალი ხარჯებით. უფრო მეტიც, ამჟამად BPO ღირებულებათა ჯაჭვის ბიზნეს აქტივობებში არ არსებობს ფაქტორები, რაც ხელს შეუშლის ადგილობრივ ზრდას. უფრო მეტიც, ამჟამად BPO–ს ღირებულების ჯაჭვში შერჩეულ არცერთ ბიზნეს საქმიანობაში არ არის მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი ადგილობრივი ზრდისთვის. ზოგადად, BPO სექტორის ზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკის სიჯანსაღესა და ღიაობასთან. თუმცა, მიუხედავად იმისა,

რომ დიდი პრობლემები არ არსებობს, სექტორში კვლავ ვხვდებით დაბრკოლებებს, რომლებიც დამახასიათებელია თითოეული ბიზნეს-აქტივობისთვის.

გამჭოლი სექტორები (ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ელექტრონული ვაჭრობა): 2020 წლის პირველ კვარტალში გამჭოლი სექტორების თითოეულ ღირებულებათა ჯაჭვში მომუშავე კომპანიების წლიური ბრუნვა მნიშვნელოვნად შემცირდა. პანდემიით გამოწვეულმა აკრძალვებმა ნაკლებად დააზარალეს გამჭოლი სექტორის ისეთი ღირებულებათა ჯაჭვები, როგორებიცაა ICT და ელ. კომერცია. ლოგიკური იყო, რომ ზემოხსენებულ ღირებულებათა ჯაჭვის მომსახურებაზე მოთხოვნა არ შემცირდებოდა. თუმცა, მონაცემებმა აჩვენა, რომ ზოგადი მოხმარებისა და ონლაინ ტრანზაქციების შემცირების გამო, ონლაინ მომუშავე ღირებულებათა ჯაჭვებიც ვერ აღმოჩნდნენ მდგრადები. ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება იყოს ICT მოწყობილობები, რომლის წლიური ბრუნვაც გაიზარდა. დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რომ 2020 წლის დასაწყისში პანდემია იყო ეკონომიკური შენელების ძირითადი მიზეზი, რადგან გამჭოლი სექტორის ყველაზე დიდ ღირებულებათა ჯაჭვს, ტრანსპორტს და ლოჯისტიკას, ახასიათებს სეზონურობა - წლის დასაწყისში ყოველთვის დაბალია ბრუნვა. აღსანიშნავია, რომ ICT ღირებულებათა ჯაჭვი პანდემიამდეც მცირდებოდა: 2019 წლის მეორე კვარტალიდან ICT-ს ბრუნვამ იკლო, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს პანდემიის გამჭოლ სექტორებზე გავლენის შეფასებას.

2020 წლის მეორე ნახევარში გამჭოლი სექტორის ღირებულებათა ჯაჭვები შედარებით უფრო სწრაფად, თუმცა მაინც შეზღუდულად უმჯობესდებოდნენ: კომპანიებმა შეძლეს გაეუმჯობესებინათ ბრუნვა, თუმცა მაინც გაურკვეველია როდის დაუბრუნდება სექტორი პანდემიამდელ მდგომარეობას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეხება ტრანსპორტისა და ლოგისტიკის კომპანიებს. ასევე, აღსანიშნია ისიც, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია პანდემიამ დადებითი გავლენა იქონია თუ უარყოფითი ICT (ორივე, software და hardware) ღირებულებათა ჯაჭვზე. თუ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება შეიძლება მივიჩნიოთ კლების ნიშნად, მაშინ ICT software ნაწილში ეს კლება შეიმჩნეოდა 2020 წლის მეორე კვარტალში, მაშინ როცა ICT Hardware-ში დასაქმებულთა რაოდენობის წლიური მაჩვენებელი პანდემიის დროს იზრდებოდა. ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის სექტორში დასაქმებულთა რიცხვიც 2020 წლის მეორე კვარტალში მცირდებოდა. როცა საქმე ეხება ელ. კომერციას, პანდემიის დროს ამ ღირებულებათა ჯაჭვის დინამიკასთან დაკავშირებული ამჟამად არსებული მონაცემები აჩვენებს ბარათებით და ინტერნეტით ტრანზაქციების ღირებულებას. ზემოხსენებული ონლაინ ტრანზაქციების მიხედვით, ონლაინ შესყიდვების პირველი შესამჩნევი წლიური ვარდნა დაფიქსირდა 2020 წლის აპრილში და გაგრძელდა მეორე კვარტლის დასრულებამდე. ეს ტრენდი შეიცვალა მესამე და მეოთხე კვარტალში - ონლაინ ტრანზაქციები ყოველთვიურად იზრდებოდა. ამ ორ პერიოდს შორის სხვაობა აიხსნება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა შემცირებული მოხმარება მეორე კვარტალში, ონლაინ შესყიდვებზე მზარდი მოთხოვნა 2020 წლის მეორე ნახევარში და, ზოგადად, სექტორის ეკონომიკური აღდგენა.

ICT ღირებულებათა ჯაჭვის დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციებისას გამოთქმულ მოსაზრებებზე დაკვირვებით, ე.წ. "შიდა" მომსახურების განვითარება კერძო სექტორის ყველაზე დიდ პერსპექტიულ კლიენტთან, მთავრობასთან ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. - ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად ასევე დასახელდა კვალიფიციური კადრის ნაკლებობა.

რესპონდენტების მიხედვით, ელ. კომერციის კანონპროექტი, რომელიც ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია საქართველოს მთავრობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბიზნეს გარემოს ელექტრონული კომერციისთვის, გახდის უფრო სანდოს და წაახალისებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტს . გარდა ამისა, უნდა ვახსენოთ, რომ სტაბილურ და დაცულ გადახდის პლატფორმებს და კომერციულ ბანკებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ელ. კომერციის ღირებულებათა ჯაჭვის ფუნქციონირებაში. ამასთან, ძლიერი ფინანსური ინსტიტუტების არსებობა, ითვლება ყველაზე რთულად, როდესაც საქმე ეხება სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფას.

ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლების მიხედვით, მთავრობის პროექტები და აქტივობები, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში რეგიონული ჰაბის დაფუძნებისკენ, არასწორად არის დაგეგმილი. რესპონდენტებმა ახსენეს, რომ დიდი ინვესტიციების გაკეთებამდე, საჭიროა ინკლუზიური და შედეგებზე-ორიენტირებული გეგმის შექმნა, რომელშიც გაწერილი იქნება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და ასევე, მოსამზადებელი პროექტები. მაგალითად, თავდაპირველად ყურადღება გამახვილდა ევროპიდან საბორნე გადაზიდვის (საპირისპირო ნაკადის/ უკუნაკადის) მიღების უზრუნველყოფაზე, რაც ასევე იყო ჩინეთის რკინიგზის პროექტის შეჩერების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი (ნაკლებად განვითარებული საბორნე გადაადგილება ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და ა.შ.). ტვირთების ექსპედირების კომპანიების წარმომადგენლებმა ადგილობრივ ბაზარზე არსებულ არაჯანსაღ კონკურენციაზე გაამახვილეს ყურადღება, რომელიც ფასების დემპინგით, კონფიდენციალურობის დარღვევით და ბიზნეს ეთიკის არქონით არის გამოწვეული. ამასთანავე, ინტერვიუების დროს საჰაერო გადაზიდვების კომპანიების წარმომადგენლებმა ახსენეს კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხები. კანონმდებლობის მიხედვით, ტერმინალი პასუხისმგებელია არაკანონიერ ტვირთზეც, რასაც კიდევ ემატება საბაჟოზე არსებული ბიუროკრატია. ამასთანავე, რესპონდენტების მიხედვით დამატებითი გამოწვევები სექტორისთვის არის - ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის ხარისხიანი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების ნაკლებობა და შესაბამისად, მცოდნე და გამოცდილი თანამშრომლების ნაკლებობა.